

## საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #011/18<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ქურდაძე (სტუდენტი)

### საქმის ფაქტები

კლიენტი ქართულად ვერ კითხულობდა და ამის გამო ბანკში ხელი მოაწერა თავდებობის ხელშეკრულებას მოტყუებით, ისეთი პირობებით, რომელზეც რეალურად არ იყო თანახმა. ამის გამო მას დასჭირდა ადვოკატის დახმარება. ის და ადვოკატი საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეთანხმდნენ ზეპირი ფორმით და მათ შორის გაფორმდა მინდობილობა. ადვოკატი კლიენტს წინასწარ არ შეთანხმებია ჰონორარზე და მის გადახდის წესზე. ადვოკატს მისი ინტერესები უნდა წარმოედგინა მოცემული დავის ფარგლებში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ ადვოკატი იყო მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალობის მქონდე და მან კლიენტს ეს ინფორმაცია როგორც თავად ამბობს მიაწოდა სანამ საადვოკატო მომსახურებას დაიწყებდა. ადვოკატის თქმით იგი ასრულებდა კლიენტის მიერ ყველა მითითებას. კლიენტი უკმაყოფილო იყო ადვოკატის მომსახურებით, ადვოკატი კლიენტთან არ ათანხმებდა სარჩელის შინაარსს და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, რის გამოც, კლიენტმა ვადაზე ადრე შეწყვიტა სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატი საკუთარი განმარტებით აწარმოებდა ხართადრიცხვას და ყველა დოკუმენტი საქმესთან დაკავშირებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება განადგურდა მის სახლში გაჩენილი ხანძრით. ადვოკატის თქმით იგი საადვოკატო მომსახურებას კვალიფიციურად ახორციელებდა.

### პროცესუალური ისტორია

კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის მიერ დარღვეულია წარმომადგენლობის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად განხორციელების ვალდებულება. ადვოკატი, რომელიც სპეციალიზაციის გარეთ ახორციელებს წარმომადგენლობას, არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას, მას არ ჰყავს კლიენტი. ის ამ შემთხვევაში წარმოადგენს მარწმუნებელს, ხოლო როგორც ადვოკატი, ვალდებულია მარწმუნებელს აცნობოს, რომ აღნიშნული ურთიერთობა არ წარმოადგენს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობას და ის არ არის ადვოკატი ამ პროცესში. სხვა შემთხვევაში კლიენტი იქნება შეცდომაში შეყვანილი.

ადვოკატს პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკისრებს კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას. კანონის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა გულისხმობს კანონის შესაბამისად მოქმედებას. პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს არა მხოლოდ ჰონორარის ოდენობის მითითებას, არამედ იმის განსაზღვრასაც, თუ როგორ გამოითვლება ეს ოდენობა. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ისეთი

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5d7255d8182fd.pdf/086.17%20%2025.02.2019%20gaftrixileba.pdf>

ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადვოკატის მიერ შეთავაზებული ჰონორარის ექვივალენტური მომსახურების ფარგლებს.

### **დასკვნა**

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-8.5, მე-8.6, მე-8.8, მე-8.12, მე-8.13 და მე-8.15 მუხლებით და გადაწყვიტა, რომ ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.